



მწვანე ალტერნატივას შენიშვნები და პოზიცია

2024-2025 წლებისთვის კლიმატის ცვლილების განახლებულ სამოქმედო გეგმის (ენერგეტიკის სექტორი) თაობაზე

გარემოსდაცვითი და სოციალური სამართლიანობისთვის საქართველოში

25 ოქტომბერი, 2023

2022 წლის 4 აგვისტოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გამოაქვეყნა 2024-2025 წლებისთვის კლიმატის ცვლილების განახლებული სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსია. ვერსიის განხილვის მიზნით, გაიმართა ორი შეხვედრა ენერგეტიკის სექტორის ტექნიკური სამუშაო ჯგუფის ფორმატში, რომლის მიზანი იყო ენერგეტიკის სექტორში გასატარებელ ღონისძიებათა პაკეტის შემუშავება/განახლება, რათა შესრულებული ყოფილიყო ენერგეტიკის სექტორიდან სათბურის აირების ემისიების შემცირების ვალდებულება პარიზის შეთანხმების ფარგლებში.

საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგიაში განისაზღვრა პრიორიტეტული სექტორები სათბური აირების ემისიების შემცირების მიზნით, მათ შორის, ენერგეტიკული სექტორისთვისაც. ენერგეტიკის სექტორი ჩაიმალა ქვესექტორებად (ენერჯის გენერაცია და გადაცემა, ტრანსპორტი, შენობები), რომლის განხილვა მიმდინარეობდა სხვადასხვა სამუშაო ჯგუფის ფორმატებში.

წარმოგიდგინთ მწვანე ალტერნატივას შენიშვნებსა და პოზიციას 2024-2025 კლიმატის განახლებული სამოქმედო გეგმის ენერგეტიკულ ნაწილზე.

ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობა სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში

საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგიის მტკიცებით, წინასწარ განსაზღვრული პრიორიტეტების შეთანხმება მოხდა „სპეციალურად ამ პროცესისთვის შექმნილი ტექნიკური სამუშაო ჯგუფების, ხოლო შემდეგ მაკოორდინირებული, სათათბირო ორგანოს - კლიმატის ცვლილების უწყებათაშორისი საბჭოს, ფარგლებში.“ დოკუმენტის თანახმად, სამუშაო ჯგუფები დაკომპლექტდა საჯარო მოხელეების, ექსპერტების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამეცნიერო წრის წარმომადგენლებისგან¹.

სამწუხაროდ, დოკუმენტში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია, თუ როგორ და რა კრიტერიუმებით შეირჩა სამუშაო ჯგუფის წევრები და რატომ ვერ მოხვდნენ ამ ჯგუფებში კონკრეტულად ამ საკითხებზე მომუშავე დაინტერესებული არასამთავრობო ორგანიზაციები თუ სხვა დაინტერესებული პირები. ეს საკითხი კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს იმის გათვალისწინებით, რომ სწორედ ამ ტექნიკური სამუშაო ჯგუფის

თბილისი, 0179, საქართველო
ფალიაშვილის ქ. 39b, IV სართ.
ტელეფონი: (995 32) 222 38 74
ელ. ფოსტა: greenalt@greenalt.org
ვებ-გვერდი: www.greenalt.org

¹ საქართველოს კლიმატის ცვლილების სტრატეგიის მე-6 თავი „კლიმატის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელება და კოორდინაცია; <https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/32027>

და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით განისაზღვრა სექტორული პრიორიტეტები, მიზნები, ამოცანები, მათი სამიზნე მაჩვენებლები და ლოგიკური ჩარჩო. მოგვიანებით ჩართული ორგანიზაციების პირველ ეტაპზე ჩართვის შემთხვევაში, მნიშვნელოვან წვლილს შეიტანდა სამოქმედო გეგმის დახვეწის პროცესში.

მინაარსობრივი შენიშვნები

ენერგოეფექტურობის დამატების აუცილებლობა

საქართველოს 2024-2025 წლებისთვის კლიმატის ცვლილების განახლებული სამოქმედო გეგმის თანახმად, ენერგეტიკის სექტორში ძირითად პრიორიტეტად კვლავ რჩება მხოლოდ ენერჯის გენერაციისა და გადაცემის სექტორი, შესაბამისი მიზნებით, ამოცანებით და ინდიკატორებით. მიგვაჩნია, რომ ენერგეტიკის სექტორი მხოლოდ გენერაცია და გადაცემა არ არის და მხოლოდ ამ მიმართულებაზე აქცენტის გაკეთება არ არის სწორი.

წარმოდგენილი სამოქმედო გეგმას აუცილებლად უნდა დაემატოს ენერგოეფექტურობა როგორც ენერგომომხმარებლის შემცირების შესაძლებლობა, რადგან ენერგოეფექტურობის ფრაგმენტული გადართობა სამოქმედო გეგმის სხვადასხვა თავებში არ არის საკმარისი.

ენერგოეფექტურობა წარმოადგენს ენერჯიაზე მოთხოვნის მართვის საკვანძო მიმართულებას და ევროკავშირის მიერ განხილვა როგორც „ენერჯის წარმოების შესაძლებლობა“, ვინაიდან სათანადოდ დაგეგმილი ღონისძიებებით, შესაძლებელია როგორც პირველადი, ისე საბოლოო ენერჯის მოხმარებაზე მოთხოვნის შემცირება. შედეგად, ენერგოეფექტურობა ანაცვლებს ახალი გენერაციის ობიექტების მშენებლობაზე გასაწევ ძვირ ინვესტიციებს, ამცირებს წიაღისეულ საწვავზე დამოკიდებულებას, ზრდის მიწოდების უსაფრთხოებას² და საბოლოოდ, ამცირებს სათბური აირების გაფრქვევას. და რაც მთავარია, შედეგების მიღწევა მოკლე და საშუალოვადიან პერიოდში შესაძლებელია.

აღნიშნულ საკითხზე დასმულ შეკითხვაზე, სამინისტროს წარმომადგენლის გაცემული პასუხი, რომ ახლა რაიმეს დამატება სამოქმედო გეგმაში შეუძლებელია, ეწინააღმდეგება საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 სტრატეგიის 4.1.2 თავს „სხვა სამომავლო პრიორიტეტული მიმართულებები“, რომლის თანახმად, „ზემოთ წარმოდგენილი ამოცანების გარდა, საქართველო დაინტერესებულია, გამოიკვლიოს ემისიების შემცირების სხვა პოტენციური სფეროებიც, რაც საბოლოოდ, გაზრდის მის პროგრესს პარიზის შეთანხმებით დადგენილი სამიზნე ტემპერატურის მიღწევაში“. შესაბამისად, დამატებითი ამოცანების დამატების შესაძლებლობას დოკუმენტი იძლევა.

დეკარბონიზაცია

კიდევ ერთი საკითხი რომელიც აუცილებელია დაემატოს და ახლებურად განისაზღვროს 2024-2025 წლების კლიმატის სამოქმედო გეგმაში არის დეკარბონიზაცია, სადაც ძირითადი აქცენტი უნდა გაკეთდეს სუფთა ინდუსტრიის განვითარების ხელშეწყობაზე, რაც გულისხმობს ქვანახშირის, გაზის და ნავთობის ჩანაცვლებას საწარმოო პროცესებში, ინდუსტრიების ტექნოლოგიურ გადაიარაღებას და კონკურენტუნარიანობის გაზრდას. სამწუხაროდ, აღნიშნული საკითხი სათანადოდ განხილული არ არის ენერგოპოლიტიკისა და ეროვნული ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსიებშიც.

²https://energy.ec.europa.eu/topics/energy-efficiency/energy-efficiency-targets-directive-and-rules/energy-efficiency-first-principle_en

ენერგოპოლიტიკის დოკუმენტებში ბუნებრივი გაზის, ნავთობისა და ქვანახშირის პოტენციური რესურსების ძებნა-ძიებისა და რაციონალური ათვისების მაქსიმალური ხელშეწყობა ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებადაა განხილული, რათა ენერჯიაზე მოთხოვნილება დაკმაყოფილდეს იმპორტირებული ენერჯიის ეტაპობრივი ჩანაცვლებით საკუთარი ენერგეტიკული რესურსებით.

კლიმატის ცვლილების სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსიაში კი „თბოელექტროსადგურების საშუალო ეფექტიანობის გაუმჯობესების“ ქვეშ გათვალისწინებულია ახალი კომბინირებული თბოელექტროსადგურის „გარდაბანი 3“-ის მშენებლობა, რომელმაც სხვა სადგურების მსგავსად, უნდა იმუშაოს იმპორტირებულ ბუნებრივ აირზე. შესაბამისად, ეს აქტივობა ეწინააღმდეგება ენერგოპოლიტიკის გაცხადებულ მიზანს იმპორტირებულ საწვავზე დამოკიდებულების შემცირების თაობაზე, რომ აღარაფერი ვთქვათ ემისიების შემცირებაზე.

შესაბამისად, გაუგებარია, რატომ კეთდება აქცენტი კიდევ უფრო მეტ წიაღისეულ საწვავის მოხმარებაზე ყოველგვარი ხარ-სარგებლიანობის ანალიზის გარეშე, მაშინ როდესაც არსებობს საფრთხე, რომ ეს ინვესტიციები შესაძლოა გადაიქცეს ე.წ. „Stranded“ აქტივებად.

ენერგოსექტორის მედეგობის გაზრდა

სამოქმედო გეგმაში აუცილებლად უნდა დაემატოს ენერგოსექტორის მედეგობის გაზრდის საკითხი, კერძოდ, რა უნდა დაიგეგმოს ამ მიმართულებით მიწოდების უსაფრთხოების გავლენის მინიმუმაციისთვის, მაგალითად, ენერჯიების ურთიერთჩანაცვლების რა შესაძლებლობები უნდა განვითარდეს (თბური ტუმბოები), ბატარეები, თუ სხვა ტექნოლოგიების ხელშეწყობა. უნდა განისაზღვროს გაზომვადი მიზნობრივი მაჩვენებლები და დროში გაწერილი ქმედებები ინდიკატორებთან ერთად.

აქცენტი კვლავ ჰიდროელექტროსადგურებზე

კლიმატის სამოქმედო გეგმაში ერთ-ერთ ძირითად ამოცანად განახლებადი ენერჯიის (ქარის, მზის, ჰიდრო, ბიომასის) წარმოების ხელშეწყობა არის განსაზღვრული, თუმცა ძირითადი აქცენტი კეთდება ჰიდროენერგეტიკული რესურსების ათვისებაზე და მხოლოდ სიმბოლურად არის განსაზღვრული ქარის და მზის ენერჯიების გამოყენება. დოკუმენტის თანახმად, 2026 წლამდე უნდა აშენდეს 76 მეგავატი ქარის, 74 მეგავატი მზის და 225 მეგავატი ჰიდროელექტროსადგურები.

ეს განაწილება და მიდგომა კიდევ უფრო უცნაურია, იმ საფრთხეების გათვალისწინებით რომ საქართველო და მისი წყლის რესურსები ყველაზე მეტად არის მოწყვლადი კლიმატის ცვლილების მიმართ და გენერაციის დივერსიფიკაციას უნდა მიენიჭოს პრიორიტეტი. ნაწილობრივ ამ საფრთხეებს საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგიაც აღიარებს: „წყლის ნაკადის კლების გამო, ელექტროენერჯიის ჰიდროწარმოების შემცირებამ ბოლო წლებში ელექტროენერჯიის იმპორტის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაზარდა. ქვეყნის რესურსით წარმოებული ელექტროენერჯიის უწყვეტი მიწოდების უნარის გამომუშავება და ამ გზით ენერგოუსაფრთხოების გაუმჯობესება, ეროვნული მნიშვნელობის ამოცანაა (საქართველოს მთავრობა, 2020 წ.)“. მართალია, არ არის ბოლომდე გასაგები, რას ნიშნავს „ქვეყნის რესურსით წარმოებული ელექტროენერჯიის უწყვეტი მიწოდების უნარის გამომუშავება“ თუმცა ფაქტია სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული ამოცანები წინააღმდეგობაში მოდის როგორც სექტორის წინაშე არსებულ გამოწვევებთან (სეზონურობა) ისე კლიმატის ცვლილებით გამოწვეულ მოსალოდნელ საფრთხეებთან და შედეგებთან.

აზიის განვითარების ბანკისა და მსოფლიო ბანკის ექსპერტების მიერ ერთობლივად შეფასებული საქართველოს კლიმატის ცვლილების საფრთხეების პროფილის მიხედვით³, საქართველოს მდინარეებში წყლის ნაკადის შემცირება მოსალოდნელია ზაფხულის თვეებში და ემთხვევა ენერჯიაზე პიკურ მოთხოვნას, რომელიც ძირითადად კმაყოფილდება ჰიდროგენერაციით. პირველადი შეფასებით, მაგალითად, ალაზანსა და ხრამ-დებედაში მოსალოდნელია წყლის ნაკადის შემცირება 30%-55%-მდე 21 საუკუნის ბოლოსთვის.

კვლევაში დამატებით საფრთხეებად ხაზგასმულია კლიმატის ცვლილების გამო, მეწყერების გააქტიურების რისკებიც, განსაკუთრებით, საკვანძო ენერგოინფრასტრუქტურის სიახლოვეს.

ეს რისკები სამოქმედო გეგმაში ასახული არ არის, თუმცა მთავარ საფრთხედ დოკუმენტში მიჩნეულია „მოსახლეობის პროტესტის გამო სამშენებლო კომპანიების/ინვესტორების მიერ სამუშაოს შეფერხება/გაუქმება“. მიგვაჩნია, რომ უმჯობესი იქნებოდა დოკუმენტში რეალური საფრთხეების აღწერა ყოფილიყო წარმოდგენილი. ამ საფრთხეებიდან გამომდინარე კი აქცენტი გადატანილი ყოფილიყო გენერაციის დივერსიფიკაციაზე და ალტერნატიულ ტექნოლოგიებზე, რომლის შესრულება რეალისტურია. დოკუმენტში განსაზღვრული ამოცანა, რომ 2025 წლისთვის 225 მეგავატის სიმძლავრის ათვისება არის დაგეგმილი, წარმოუდგენლად ოპტიმისტური გათვლაა და სრულად აკმაყოფილებს რისკებში ჩასაწერ კრიტერიუმებს.

ევროკავშირის შემთხვევაში, განახლებადი ენერჯიები მართლაც განიხილება ენერგოსაფრთხოების ამალღების ერთ-ერთ საკვანძო მიმართულებად, თუმცა ძირითადად აქცენტი კეთდება ქარის და მზის ენერჯიებზე, ახალ ტექნოლოგიებზე, რითიც შესაძლებელია წიაღისეული საწვავის ჩანაცვლება იაფი ელექტროენერჯიით, განსაკუთრებით ტრანსპორტსა და ინდუსტრიულ სექტორებში, ემისიების შემცირება ა.შ. ჩვენს შემთხვევაში კი, ამ მიმართულებით შეფასებაც კი არ არის გაკეთებული, როგორ უნდა ჩაანაცვლოს მაგალითად, ჰიდროელექტროსადგურებმა იმპორტირებული ენერჯია, როდესაც დეფიციტურ პერიოდებში ჰესების კონტრიბუცია მინიმალურია.

ქარისა და ჰიდროელექტროსადგურების ხელშეწყობისთვის გამოყოფილი თანხები

კითხვებს აჩენს დოკუმენტის აქტიობათა ბიუჯეტები, კერძოდ აქტიობა „1.1.1 ქარის ენერჯიიდან ელექტროენერჯიის გამომუშავების ტექნიკური და პროცედურული მხარდაჭერის სამუშაოები“ (1 324 180 000,00 ლარი (509,3 მლნ აშშ დოლარი)) და 1.1.3 „ჰიდროელექტროსადგურების ტექნიკური და პროცედურული მხარდაჭერის სამუშაოები“ (1 685 840 000,00 ლარი (648,4 მლნ აშშ დოლარი)). გაუგებარია, რას გულისხმობს ტექნიკური და პროცედურული მხარდაჭერა, რომელიც მოითხოვს ამ ოდენობის ფინანსურ რესურსს. აღნიშნული საკითხი უნდა განიმარტოს დოკუმენტის ავტორების მიერ.

დასკვნა

ზემოაღნიშნული საკითხებიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ აუცილებელია, სამოქმედო გეგმა განახლდეს და დაემატოს გამოტოვებული საკითხები. ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს განმარტებების ტექნიკური სამუშაო ჯგუფის წევრებისგან, რატომ შედგა კლიმატის ცვლილების სამოქმედო გეგმა ასეთი შუზღუდული მასშტაბით.

³ <https://reliefweb.int/report/georgia/climate-risk-country-profile-georgia>